საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თურქეთის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

2022 წლის 8 სექტემბერს საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თურქეთის ბურდურ მეჰმედ აკიფ ერსოის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა.



ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების გაცვლით პროგრამებს, სასწავლო და სამეცნიერო კურსებს, საერთო კონფერენციებს, კროსკულტულურ კვლევებსა და ტრენინგებში მონაწილეობას.

ბურდურ მეჰმედ აკიფ ერსოის უნივერსიტეტთან მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგის თინათინ ჭარხალაშვილის თურქეთში ვიზიტით და ჩართულობით გაფორმდა.

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ჭარხალაშვილი აღნიშნავს, რომ მემორანდუმი მოიცავს ორ უნივერსიტეტს შორის კავშირების განმტკიცებას, ასევე ორიენტირებულია საუნივერსიტეტო პრინციპებისა და უნარების გამომუშავებაზე.

საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა

უაღრესად საინტერესო აკადემიური აქტივობები და დაიგეგმა სამომვალო პარტნიორობის პერსპექტივები ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.